

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

### ოქმი #11

ქ. ონი

17 ოქტომბერი 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 9 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, გელა მეტრეველი, გივი მეტრეველი, სერგო ლობჯანიძე, გოჩა მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, ვანო ბალაშვილი.

**არ ესწრებოდა 3 წევრი:** ნოდარ ბურდილაძე, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე მერაბ ორდინიძე, მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ორდინიძე-მერის პირველი მოადგილე

2. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: შუქურა ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ცხრა თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

4. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2018 წელს საშემე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

მომხსენებელი: ვანო ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ორდინიძე-მერის პირველი მოადგილე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ცხრა თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

**გადაწყდა:** გადაწყდა ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 2. ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: შუქურა ჯათარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა და აღნიშნა, რომ აღნიშნული გეგმა საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას, დახვეწას და უმჯობესია ამ ეტაპზე არ იქნას განხილული და გადაიდოს მომავალ სხდომამდე.

**გადაწყდა:** საკითხი გადაიდოს მომავალ სხდომამდე.

**მოისმინეს:** 3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ცხრა თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2018 წლის ცხრა თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

**გადაწყდა:** ინფორმაცია მოსმენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 4. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების შესახებ.

მომხსენებელი: ვანო ბალაშვილი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს მიერ არ მოხდა დროულად აღნიშნული ინფორმაციის მონოღება, ამიტომ საკითხი მოუშზადებელია და საჭიროა გადაიღოს მოშზავალ სხდომამღე.

**გაღაწყდა:** საკითხი-სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამმართველოს ინფორმაცია 2018 წელს საშეშე და სამასალე მერქნის ათვისებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების შესახებ, გადაიღოს მოშზავალ სხდომამღე.

ღღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემღეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხაღა.

**შუეურა ჯათაროძე**

საკრებულოს თავმჯდომარე